ხელშეკრულება № 61

ქ. თბილისი 07 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნანა ღაჭავას სახით და მეორე მხრივ, შპს „მონტაჟ პლიუსი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ. ხორავას სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ- ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას კედლის კონდენციონერის (CPV42512200) შესყიდვის მიზნით, რომელთა დასახელება და რაოდენობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელებები, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების ცხრილში:

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	Daevoo DSB-F 1885 ELH conditioner	ცალი	2	900,00	1800,00
2	კონდიციონერების მონტაჟი	ცალი	2	200,00	400,00

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2200,00 (ორიათასორასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, შ. იამანიძის ქ. N7.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები, ს.ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენის საფუძველზე.

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებუ;ლია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულების 4.2. პუნქტში მითითებულ ვადაში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ - ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. თბილისი, შ. იამანიძის ქ. 7
ტელეფონი: (+995 32) 2340621
საიდენტიფიკაციო კოდი: №202055881
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. “ ლიბერთიბანკი”
საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების
ანგარიში: № GE87LB0115142415028000

მიმწოდებელი

შპს „მონტაჟ პლიუსი“

მისამართი:თბილისი, დიღმის მას.კვ.6 კ.6 ბ.43
ს.კ 402013272
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. “ თიბისიბანკი” TBCBGE22
ა.ა GE55TB7265336080100001

დირექტორი ს მ/შ ----------/ნანა ღაჭავა/

---------- /ბ. ხორავა/

მიღება–ჩაბარების აქტი

თბილისი

08 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი გულბაათ სამხარაძ,, ერთი მხრივ და შპს „მონტაჟ პლიუსი“ (ს.კ 402013272), მეორე მხრივ, ამ აქტით ვადასტურებთ, რომ შპს „მონტაჟ პლიუსი““-მ გადასცა სკოლას და დაუმონტაჟა N61 07.12.2016 წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2200,00 ლარის საერთო ღირებულების ორი ცალი კედლის კონდენციონერი Daevoo DSB-F 1885 ELH.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი“– №116 საჯარო სკოლა
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი გ. სამხარაძე

„მიმწოდებელი“– შპს „მონტაჟ პლიუსი“ ზ. ხორავა

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 15/12/2016 00:11

1	ეა-13 4591968

3	დეკემბერი	2016

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	12	დეკემბერი	2016

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	4	0	2	0	1	3	2	7	2		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს მონტაჟ პლიუსი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	2	0	5	5	8	8	1		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ქალაქ თბილისის N116 საჯარო სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
Daevoo DSB-F 1885 ELH conditioner	ცალი	2.0000	1800.0000	274.5800	0.0000
კონდენციონერების მონტაჟი	მომსახურება		400.0000	61.0200	0.0000
		სულ	2200	335.6	0

	სასაქონლო ზედნადების No		თარიღი
7	0277618742	8	08 - დეკემბერი - 2016 03:37

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0277618742

2	08/12/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	15:37:00

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს მონტაჟ პლიუსი	402013272
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის N116 საჯარო სკოლა	202055881
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	null დიღმის მასივი, კვარტ. VI, კორპ. 6, ბ. 43 - თბილისი

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ქ.თბილისი. იამანიძის 7

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	VV254OO

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	18001023120 ზვიადი წაქაძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	Daevoo DSB-F 1885 ELH conditioner	081	ცალი	2.0000	900.0000	1800.0000

13	1800 - ერთი ათას რვაასი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	08/12/2016	16:43:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 11/01/2017, 18:22:39

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 13414

თარიღი: 2016 წლის 12 12, ორშაბათი

	GEL
	GEL
	2200.00
	თანხა სიტყვიერად
	ორი ათას ორას ნული GEL და 00

გადამხდელის დასახელება: სსიპ ქალაქ თბილისის # 116 საჯარო სკოლა

ანგარიში (დებეტი): GE87LB0115142415028000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: შპს მონტაჟ პლიუსი

საიდენტიფიკაციო კოდი: 402013272

ანგარიში (კრედიტი): GE55TB7265336080100001

მიმღების ბანკი: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 12.12.2016

გადახდის დანიშნულება: ორი ცალი კედლის კონდენციონერის ღირებულება მონტაჟით (ს.ზ. 0277618742)

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK
შესრულებულია ინტერნეტ ბანკის მეშვეობით

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან